თემა: ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და აღდგენის ხელშემწყობი მექანიზმები საქართველოში

ნონა მაჭავარიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობა: ფსიქოტრავმატოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025 წელი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნონა მაჭავარიანი, ნ.მაჭავარანი, 11.06.2025

სარჩევი

აბსტრაქტი iv

Abstract v

1.1 შესავალი 1

2. ლიტერატურის მიმოხილვა 7

3. მეთოდოლოგია 26

3.1 ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომა: კვლევითი ჩარჩო და მეთოდოლოგიური გზავნილები 28

3.2 ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ანალიზი 31

3.3 ეკოლოგიური მოდელი ოჯახში ძალადობის სისტემური ანალიზისთვის 32

4. ანალიზი 33

4.1 ოჯახში ძალადობა, როგორც ფსიქოტრავმული გამოცდილება 33

4.2 ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომის (TIC) მნიშვნელობა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სისტემებში 36

4.3 ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომა (TIC) საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები 38

4.4საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკები და ქართული პერსპექტივა 41

4.5 დაცვის სერვისები და მათი ხელმისაწვდომობაა 43

4.6 ტრავმაზე ორიენტირებული ფსიქოსოციალური სერვისების განვითარება 47

4.7 სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაცია: ტრავმული გამოცდილების შემდეგ გაძლიერების გზები 49

5. დისკუსია 50

5.1 შედეგების ინტეგრაცია საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევებთან 50

5.2 რეგიონული სპეციფიკა და გამოწვევები 51

5.3 ფსიქოსოციალური მხარდაჭერის ნაკლებობის რეალური შედეგები 52

6. დასკვნა 55

7. კვლევის შეზღუდვები 57

გამოყენებული ლიტერატურა 58

აბსტრაქტი

ნაშრომი იკვლევს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და ფსიქოსოციალური აღდგენის მექანიზმებს საქართველოში. კვლევა ეყრდნობა ადამიანის უფლებებზე, ტრავმაზე ორიენტირებულ და სტრუქტურულ-ეკოლოგიურ ანალიზს. კვლევა აერთიანებს საერთაშორისო და ადგილობრივ წყაროებს, პოლიტიკის დოკუმენტებს, თეორიულ ჩარჩოებსა და პრაქტიკულ მტკიცებულებებს. იგი მიზნად ისახავს არსებული სერვისების შესაძლებლობებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას.

კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად კანონმდებლობაში ცვლილებებისა და პრევენციული პოლიტიკის გაუმჯობესებისა, ტრავმაზე ორიენტირებული სერვისები და ფსიქოთერაპიული მხარდაჭერა საქართველოში, განსაკუთრებით კი რეგიონებში არასისტემატიურია. გამოჩნდა, რომ სახელმწიფო ძირითადად სამართლებრივ ჩარჩოზეა ორიენტირებული, ხოლო აღდგენის პროცესი უმეტესად NGO-ების ძალისხმევაზეა დამოკიდებული. კვლევა გამოყოფს იმ სტრუქტურულ და სოციოკულტურულ ბარიერებსაც, რომლებიც სერვისებზე წვდომას აფერხებს, მათ შორისაა გენდერული სტერეოტიპები, სირცხვილის განცდა და ეკონომიკური დამოკიდებულება.

ნაშრომში გაანალიზებულია საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითები (კანადა, შვედეთი, ავსტრალია) და ასევე განხილულია მათი ადაპტაციის შესაძლებლობები საქართველოს კონტექსტში. წარმოდგენილია რეკომენდაციები ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომის სისტემურ დონეზე დანერგვისთვის, რაც მოიცავს სერვისების ინსტიტუციონალიზაციას, სპეციალისტების გადამზადებასა და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ჩართვას აღდგენის პროცესში. ნაშრომის მიზანია გააანალიზოს, რამდენად ეფექტურად პასუხობს საქართველოში არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და აღდგენის მექანიზმები რეალურ საჭიროებებს, განსაკუთრებით კი ფსიქოსოციალური აღდგენის ჭრილში. კვლევა განიხილავს როგორც სახელმწიფო პოლიტიკის, ისე არასამთავრობო სექტორის ჩართულობას, და აფასებს ამ სისტემების შესაბამისობას ტრავმაზე

ორიენტირებული და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების მთავარ პრინციპებთან.

Abstract

This paper examines the mechanisms for the protection and psychosocial rehabilitation of domestic violence survivors in Georgia. The research is based on an analytical framework that combines principles of human rights, a trauma-informed perspective, and a structural-ecological approach. It integrates international and local sources, documents of politics, theoretical frameworks, and practical. The aim is to identify the strengths of existing services and highlight systemic defects.

The study shows that despite legislative reforms and improvements in preventive policy, trauma-informed services and psychotherapeutic support remain unsystematic in Georgia—particularly in the regions. It became evident that the country primarily focuses on legal frameworks, while the recovery process largely depends on the efforts of non-governmental organizations. The study also highlights structural and sociocultural barriers that hinder access to services, including gender stereotypes, feelings of shame, and economic dependency.

The paper analyzes examples of international practice (Canada, Sweden, Australia) and discusses the potential for their adaptation to the Georgian context. It offers recommendations for implementing trauma-informed approaches at the systemic level, including the institutionalization of services, professional retraining, and the integration of psychological rehabilitation into recovery efforts. The goal of the study is to assess how effectively Georgia's current protection and recovery mechanisms meet the actual needs of domestic violence survivors, especially in terms of psychosocial rehabilitation. The research examines both state policy and the involvement of the non-governmental sector, evaluating the extent to which these systems align with the core principles of trauma-informed and human rights-based approaches.